



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31231167
თარიღი: 26/04/2023

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომის ოქმი N 2

ქ. ლანჩხუთი

24.04.2023 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“
თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა**.

ფრაქციის წევრები: **გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე**.

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე**, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი **საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შშ ავტო „2018“-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; ირაკლი ხუხუნიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; ირაკლი ხუხუნიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა /

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; ეკა გუჯაბიძე/

6. სხვადასხვა საკითხები

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შ.პ.ს. „ავტო 2018-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა მოქალაქე დავით გოგუაძემ (პ/ნ 26001000051), რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებარე 27.06.51.005.01/532 საკადასტრო კოდზე არსებული 51,3 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიდან 19,329 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნიშვილის განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს. „ავტო 2018-ს“, მის მიერ მოთხოვნილი მუნიციპალური უძრავი ქონება, 2023 წლის 31 დეკემბრამდე, გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. მისივე განმარტებით, აღნიშნულმა სამსახურმა, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 12 294 ლარიდან, 10%-ის ოდენობით, განსაზღვრა

უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 1230 ლარს.

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნიაშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომელმაც თავისი წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქ. ლანჩუთში, გორგასალის ქუჩა N11-ში მდებარე 1506.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ არსებული 1240.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საცურაო აუზი (ს/კ 27.06.51.027)) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრ“-ს უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩუთში, გორგასალის ქუჩა N11-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 27.06.51.027 (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

კახაბერ ასკურავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია საცურაო აუზი გადაეცეს კერძო პიროვნებას, რომელიც იზრუნებს მის მოწესრიგებასა და ფუნქციონირებაზე. ჩატარდეს ტურნირები და გახდეს ფინანსურად მომგებიანი.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ ლანჩუთში, თბილისის ქუჩაზე გაიხსნა „ფიტნეს კლუბი“, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტებს, კარგი იქნება, თუ ერთიანობაში მოექცევა.

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნიაშვილის განმარტებით, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობით მომართა ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/ნ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა, (კანცელარიის N13/302310166-30 11.04.2023 წ.) რომელმაც თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი -2013) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვნების ფორმით, აუქციონის გარეშე, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ. მან განმარტა, რომ აღნიშნულ განკარგულებაში არის ტექნიკური შეცდომა. განკარგულების მიღების თარიღად ნაცვლად 2022 წლისა უნდა დაფიქსირდეს 2023 წელი.

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ისაუბრა მერი პირველმა მოადგილემ ეკა გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 01/05/2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016360) შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება“-ს მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს წევრთა შემადგენლობას და ოდენობას განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საბჭოს თავმჯდომარეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით).

3. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით):

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და

ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები;

ე) საბჭოს წევრები სათათბირო ხმის უფლებით არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმუმ სამი წარმომადგენელი;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პროგრესის ვექტორის“ წარმომადგენელი.

5. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.

6. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.

7. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე.“

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი.

6. სხვადასხვა საკითხები

1. ირმა მგელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტში აუცილებლად უნდა იყოს „კატე“ კვლევა. იქნებ მოხდეს რეგიონის ჯანდაცვის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და ვთხოვოთ შეიძინონ აღნიშნული აპარატი.

2. გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხაჯალიის ტერიტორიულ ერთეულში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც ვიზუალურად კარგია. ის დაინტერესდა არის თუ არა გეოლოგიური დასკვნა.

გასულ წლებში იქ იდგა ერთსართულიანი საჯარო სკოლა, რომელიც დაბზარული იყო. როცა დაიგეგმა ახლი საჯარო სკოლის მშენებლობა, გეოლოგებმა უარყოფითი დასკვნა დადეს, რადგანაც რკინიგზის მაგისტრალი გადის და ბიძგები ძლიერიაო. ამდენად სხვა ტერიტორიაზე აშენდა.

ეკა გუჯაბიძემ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით საბავშვო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემები არ დაფიქსირებულა. თუმცა გადაამოწმებს.

3. გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ თბილისის ქუჩაზე გარემონტდა ახალგაზრდული ცენტრის შენობა, როდის უნდა დაიწყოს ფუნქციონირება.

ეკა გუჯაბიძემ განმარტა, რომ მალე დასრულდება სარემონტო სამუშაოები და აღიჭურვება ტექნიკით. ზოგადად ეს შენობა არის მუნიციპალიტეტის და საერთო სარგებლობის. მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდული საბჭო ირჩევა ყოველწლიურად. წელსაც აირჩევა ახალი საბჭო და შენობაც სრულად დაიტვირთება.

4. გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, თუ როდის იწყება გვიმბალაურში „ჯამბულათ ხოფერიას“ სახელობის სკვერში არსებული ბიუსტის რეაბილიტაცია.

ეკა გუჯაბიძემ განმარტა, რომ შეთანხმებულია, როგორ უნდა მოხდეს წარწერების დამაგრება, რომელიც მალე მოწესრიგდება.




პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
24.04. 2023 წელი
14.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა	14 ⁰⁰	
2. გიორგი გოგუაძე	14 ⁰⁰	
3. ირმა მგელაძე	14 ⁰⁰	
4. გივი ცინცაძე	—	